საქართველოს კანონი

მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. შეიქმნას მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი.

ამასთან დაკავშირებით „აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს 1995 წლის 8 დეკემბრის კანონის მე-7 მუხლს აბზაცის „მატერიალური რეზერვების“ შემდეგ დაემატოს აბზაცი „მიწის მართვის“.

2. მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ძირითად ფუნქციად განისაზღვროს მიწის მიზნობრივი გამოყენების და დაცვის სახელმწიფო კონტროლი, მიწის სახელმწიფო კადასტრისა და რეგისტრაციის წარმოება, ნიადაგის დაცვა.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის აპარატის დაფინანსების ხარჯები.

ედუარდ შევარდნაძე
საქართველოს პრეზიდენტი
თბილისი,
1996 წლის 13 ნოემბერი.